მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

დაწესებულება	შპს ელიტ სქული
საიდენტიფიკაციო კოდი	247009053
რეგიონი	აჭარა
რაიონი	ქობულეთი
მისამართი	თავისუფლების ქუჩა N 9
საფოსტო ინდექსი	
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://elitschool.info/
დაწესებულების ელ-ფოსტა	
ტელეფონი/ფაქსი	
დაწესებულების ხელმძღვანელი	
სახელი და გვარი	მანანა ცეცხლაძე
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	elitscool@yahoo.com
დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა	
პედაგოგი	9
უფროსი მასწავლებელი	-
მოსწავლე/სსსმმოსწავლე	24
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

გადაწყვეტილების ნომერი	საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო N 05 16/01/2017 წ.
მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	16/01/2017 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N05 გადაწყვეტილებით შპს ელიტსქულის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 120-ით.

დაწესებულებაახორციელებს

- [x] დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- [ ] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- [ ] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- [ ] პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	შპს ელიტ სქულში მონიტორინგის განხორციელების საფუძველია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის მიერ 2019 წლის 23 აპრილს გამოცემული ბრძანება N300 , რომლის თანახმად მონიტორინგის ჯგუფს დაევალა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისობის დადგენა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს ელიტ სქულში მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 1-3 მაისს მისამართზე: ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა N9.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის თანახმად.
მონიტორინგის ჯგუფის წევრები	ნინო ფეტვიაშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე) ელენე კალანდაძე (წევრი)
ვიზიტისგანხორციელების პერიოდი	1-3 მაისი, 2019 წელი
დასკვნის მომზადების თარიღი	დასკვნა მომზადდა 2019 წლის 27 მაისს

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

I. საგანმანათლებლოპროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

აღწერა	შპს „ელიტსქულის“ მიერ წარმოდგენილი 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	სკოლის დირექტორის მიერ 2018 წლის 7 სექტემბერს (დანართი N1 - პედსაბჭოს ოქმი N1 – 8 ფურცლად). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა არ ასახავს სკოლის შინაარსს, კულტურას და არ გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. სასკოლო სასწავლო გეგმა ძირითადად გადმოკოპირებულია ეროვნული სასწავლო გეგმიდან და არ აზუსტებს სკოლის ხედვასა და მიდგომას. შპს „ელიტ სქული“ ავტორიზებული დაწესებულებაა, რომელსაც სასწავლო პროცესის განხორციელება შეუძლია სამივე საფეხურზე. თუმცა 2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ასახავს <u>მხოლოდ 1-6 კლასებში განსახორციელებელ აქტივობებს და ე.წ. ხედვას. საგაკვეთილო ცხრილი გამოკრულია სკოლაში და ასახავს მხოლო იმ ხუთი კლასის სასწავლო პროცესს, რომელიც ამ ეტაპზე ჰყავს სკოლას.</u> *უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის სასწავლო გეგმაში, რომელიც სასწავლო პროცესს სამივე საფეხურზე უნდა ახორციელებდეს, უნდა ჩანდეს სასწავლო პროცესის განხორციელების მზაობა, როგორც შინაარსობრივად, ასევე რესურსებითაც. აქ იგულისხმება, როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური რესურსი.* წარმოდგენილ სასკოლო მისიის თანახმად სკოლაში ხდება „მოსწავლეთა მომზადება, სწავლა-სწავლების დონის განუხრელი ამაღლება, რაც გამოისახება საგანთა სწავლებისადმი ახალი მიდგომებით, <u>თანამედროვე ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს შექმნით“.</u>



მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	ვინაიდან სასკოლო სასწავლო გეგმაში ექსპერტებმა ვერ ამოიკითხეს სკოლის დანიშნულება, ხედვა, ხოლო მისიის ერთერთი ძირითადი საკითხებია „.... *<u>გამჭოლ კომპეტენციებზე,</u> მის განვითარებაზე ორიენტირებული <u>მეთოდოლოგიების გამოყენებაზე</u> აგებული სასწავლო პროცესის განხორციელება..“ აღზარდონ „XXI საუკუნის მიღწევათა პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენების ნიჭით აღჭურვილი მოსწავლე, რომელიც ღირსეულად წარმოადგენს თავის თავს ნებისმიერ საზოგადოებაში“, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა ეს კითხვები დაესვა გასაუბრებისას მასწავლებლებისათვის. გასაუბრებამ აჩვენა, რომ მასწავლებლები არ იცნობენ სკოლის მისიას და არ იციან რას ნიშნავს და როგორ უნდა განუვითარონ მოსწავლეებს გამჭოლი კომპეტენციები. მისიასთან შეუსაბამობა გასაუბრების გარდა გამოჩნდა დოკუმენტაციაშიც, სკოლის დათვალიერებისას და მატერიალური რესურსის შესწავლისას (ფართის ნაკლებობა, კომპიუტერების გაუმართაობა და სიმცირე, ინტერნეტთან წვდომის პრობლემა და სხვ.)* **სკოლის საათობრივი ბადე** მოიცავს I- VI კლასის გაკვეთილების განრიგს (IIკლასის გარდა) რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივ ბადესთან. რასაც ადასტურებს სკოლის კედელზე გამოკრული გაკვეთილების ცხრილი. *<u>სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად სკოლას არ აქვს, სასკოლო სასწავლო გეგმაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების და საგნების მიხედვით, თუმცა</u>*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	პორტფოლიოებში განთავსებულ დოკუმენტაციებში, კერძოდ, ზოგიერთი საგნის სასწავლო პროგრამა ეყრდნობა ძველ სახელმძღვანელოებს და აგებულია ძველი ეროვნული სასწავლო გეგმის (სტანდარტის) მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ არ აქვთ ახალი სახელმძღვანელოები და მასწავლებლის წიგნები, ამიტომ უწევთ ძველი სახელმძღვანელოების გამოყენება. ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები არ აღმოჩნდა ბიბლიოთეკაშიც, თუმცა ვიზიტის მეორე დღის ბოლოს წიგნები შეიძინეს. *შესაბამისად, **სკოლაში გამოყენებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო გრიფირებული არ არის და არ შეესაბამება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.** (დანართი N2 – 5 ფურცლად).* მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებში *არ არის განსაზღვრული ვადები და პირობები გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, გამოცდის ჩატარების წესები და სხვ.* სადამრიგებლო პროგრამაში აღწერილია სკოლის სააღმზრდელო მუშაობის ხედვა, დამრიგებელთა მოვალეობები და ფუნქციები. აქაც დაშვებულია უზუსტობები, რაც ახალი მოთხოვნების შესაბამისი არ არის. მაგალითად, სადამრიგებლო საათის ჩატარება დამრიგებელს ევალება ერთხელ თვეში, რაც არ შეესაბამება ახალ მოთხოვნებს. „***მუხლი 19. 4.ბ. დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ“.***

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	<u>სასკოლო სასწავლო გეგმაში სპორტის სახეობები განსაზღვრული არ არის.</u> დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მშობლების მოთხოვნით სკოლას სპორტის სახეობად არჩეული აქვს ჭადრაკი. სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი და მოედანი. ამიტომ კარგ ამინდში ბავშვები გაჰყავთ „ბულვარში“ და იქაურ მოედანზე ათამაშებენ ფეხბურთს.
დადასტურება/დანართი	• *2018-2019 სასკოლო-სასწავლო გეგმით;* • *სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით (ოქმი N 1; 7.09.2018.);* • *სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;* • *დანართი N1;* • *დანართი N2;* • *პედაგოგებთან გასაუბრებით.*
შეფასება	<u>დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი</u>

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

აღწერა	სკოლაში სწავლა მიმდინარეობს მხოლოდ დაწყებით საფეხურზე და ფუნქციონირებს 2 საგნობრივი კათედრა: დაწყებითი განათლების კათედრა, უცხო ენათა კათედრა. კათედრები საგნობრივ ჯგუფებში აერთიანებს ყველა მასწავლებელს. სკოლას შემუშავებული აქვს კათედრების დებულება და პროგრამები საგნებისა მიხედვით. მასწავლებლებს აქვთ საქაღალდეები, რომლებშიც ინახება პირადი მონაცემები, თემატური გეგმები საგნების მიხედვით და სხვა სამუშაო დოკუმენტები. <u>თემატური გეგმების ნაწილი შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.</u> პედაგოგთა პორტფოლიოებში წარმოდეგნილია შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები. *<u>შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ტესტურია, ამოწმებს უმეტეს შემთხვევაში ფაქტობრივ ინფორმაციას. შემაჯამებლების ანალიზი ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს, ხოლო რუბრიკები ზოგადია და არ არის საჭიროებაზე და დავალების მიზანზე მორგებული.</u>* ***<u>თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გეგმები არ ასახავს ახალი ეროვნული გეგმის მოთხოვნებს, სახელმძღვანელოები ძირითადად მოძველებულია, ვიზიტის პირველ დღეს სკოლაში არ იყო ინტერნეტზე წვდომა, ხოლო ბიბლიოთეკაში განთავსებული 3 კომპიუტერიდან ორი ვერ ჩავრთეთ, რაც ისტ-ის, ფიზიკური აღზრდისა და სხვა საგნობრივი ჯგუფების მიერ გაკვეთილების სრულფასოვნად და ხარისხიანად ჩატარებას ბუნდოვანს ხდის. შესაბამისად, რთული დასადგენია, როგორ</u>***



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	ხდება თითოეული მოსწავლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების მიღწევა.
დადასტურება/დანართი	• *2018-2019 სასკოლო-სასწავლო გეგმით;* • *სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით (ოქმი N 1; 7.09.2018.);* • *სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;* • *დანართი N1;* • *დანართი N2;* • *პედაგოგებთან გასაუბრებით.*
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვსსპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

აღწერა	სკოლას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის. ამჟამად სკოლაში არ ირიცხება ასეთი მოსწავლე. ***ექსპერტთა რეკომენდაციაა*** დაწესებულებამ ამ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	კონცეფციაზე დაყრდნობით შეიმუშავოს დოკუმენტი, სადაც უფრო კონკრეტულად იქნება ასახული სკოლის ხედვა და მიდგომები ინკლუზიური განათლებისადმი, რა ნაბიჯები გადაიდგმება ასეთი მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, ვის მიერ განსაზღვრება მოსწავლის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მიზნის მიღწევის სტრატეგიები და სტრატეგიების განხორციელების მექანიზმები მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.
დადასტურება/დანართი	• *2018-2019 სასკოლო-სასწავლო გეგმით;* • *სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით (ოქმი N 1; 7.09.2018.);* • *გასაუბრებით*
შეფასება	დაკმაყოფილებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი

1.4 **სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად**

აღწერა	მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები იდენტურია ესგ-ის, *არ არის მორგებული სკოლის საჭიროებებზე, კერძოდ არ არის განსაზღვრული ვადები და*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	პირობები გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისათვის, გაურკვეველია ტარდება თუ არა გამოცდები. ინფორმაცია შეფასების ტიპების შესახებ ნაწილობრივ ძველი ესგ-ის მოთხოვნებს ასახავს. *პორტფოლიოებში წარმოდგენილია ზოგადი ტიპის რუბრიკები.* პედაგოგთა პორტფოლიოებში წარმოდეგნილია შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, მითითებული შედეგებით, შემაჯამებელ დავალებას ზოგიერთ შემთხვევაში ახლავს შეფასების რუბრიკა. *უნდა აღინიშნოს, რომ შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ტესტურია, ამოწმებს უმეტეს შემთხვევაში ფაქტობრივ ინფორმაციას. შემაჯამებლების ანალიზი ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს, ხოლო რუბრიკები ზოგადია და არ არის საჭიროებაზე და დავალების მიზანზე მორგებული. ექსპერტები დაინტერესდნენ საკლასო ჟურნალების მდგომარეობით. სკოლამ წარმოადგინა ხუთი კლასის ჟურნალი. მე-5 და მე-6 კლასების* ჟურნალები არ არის შევსებული შესაბამისი წესით, ქულები შეტანილია, თუმცა უმეტეს შემთხვევაში არ არის დაჯამებული. ზოგიერთი საგნის შემაჯამებელი დავალებები საერთოდ არ არის შეტანილი და დაჯამებული. ზოგიერთ კლასში ჩარიცხული მოსწავლეების ბრძანებები არ არის შეტანილი.
დადასტურება/დანართი	• *2018-2019 სასკოლო-სასწავლო გეგმით;* • *სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით (ოქმი N 1; 7.09.2018.);* • *პედაგოგებთან გასაუბრებით* • *საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებით;* • *შემაჯამებელი დავალებების რუბრიკებით;*



	• *ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;* • *მასწავლებელთა პორტფოლიოებით;*
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი**

1.5 **შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით**

აღწერა	დაწესებულების შინაგანწესის 29-ე მუხლის თანახმად განსაზღვრულია მშობელთა უფლება-მოვალეობები, ასევე განსაზღვრულია რომ სკოლას შემუშავებული აქვს <u>მშობელთან ურთიერთობის დებულება, თუმცა აღნიშნული დებულება სკოლამ ვერ წარმოადგინა.</u> სკოლაში მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება კლასის დამრიგებლის მიერ მშობელთა კრებაზე, რაც ჩანს წარმოდგენილი მშობელთა კრებების ოქმებით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	ექსპერტთა რეკომენდაციაა სკოლამ მოაწესრიგოს მარეგულირებელი დოკუმენტაცია შინაარსობრივად, რატა გამოირიცხოს ასეთი ტიპის უზუსტობები.
დადასტურება/დანართი	• შინაგანაწესით; • მასწავლებლებთან გასაუბრებით; • მშობელთა კრების ოქმებით
შეფასება	დაკმაყოფილებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

აღწერა	დაწესებულებამ სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების <u>მექანიზმი ვერ წარმოადგინა.</u> მასწავლებელთა რამდენიმე პორტფოლიოში ინახება გაკვეთილზე დასწრების ფორმა, თუმცა ბუნდოვანია რა მექანიზმი არსებობს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად და რა მიზნით ხდებოდა გაკვეთილებზე დასწრება ან რა შემდგომი ნაბიჯებია გადადგმული. სკოლის დირექტორის განმარტებით ტარდება მშობელთა და მასწავლებელთა ანკეტირება, თუმცა ანკეტები ვერ წარმოადგინა. დირექტორის მიერ წარმოდგენილი პირველი სემესტრის ე.წ. SWOT ანალიზი არ არის შესაბამისი ამოცანის რელევანტური. ანალიზში

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	აღწერილი აქტივობები წარმოდგენილ დოკუმენტაციას და სკოლის რეალობას არ შეესაბამება.
დადასტურება/დანართი	• ინტერვიუირებით; • დანართი N3 – 2 ფურცლად • პორტფოლიოებით
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტი**

II. მატერიალური რესურსი

2.1 **დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:**

ა) ერთმისამართზეარსებულისაერთოფართი:

აღწერა	16/01/2017 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N05 გადაწყვეტილებით შპს ელიტ სქულს მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი 6 წლით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 120-ით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

		ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო დაწესებულების მიერ 634 კვ.მ. ფართის ფლობის დროს. მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი: შპს ელიტ სქული მდებარეობს ქობულეთში, თავისუფების ქ. №9 - ში მდებარე 4 სართულიან შენობაში. ამ შენობაში დაწესებულებას იჯარით 2023 წლის 30 ივნისამდე დაკავებული აქვს რამოდენიმე სართული. დაწესებულებამ ავტორიზაციის გავლის შემდეგ (30.10.2017 წელს) იჯარის ხელშეკრულებაში შეიტანა ცვლილება, რითაც შეიმცირა ფართი. მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულება ფლობდა ფართს 150 კვ.მ-ს, 634 კვ.მ.-ის ნაცვლად. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მეორე სართულის ოთხ და მეოთხე სართულის ერთ საკლასო ოთახებში (სულ 5 საკლასო ოთახი). ვიზიტის დროს ერთი საკლასო ოთახი განლაგებული იყო მესამე სართულზეც, რომელიც ამ დროისთვის სარგებლობის უფლებით შპს ელიტსქულს არ ეკუთვნოდა. მონიტორინგის ვიზიტის მეორე დღეს, ამა წლის 02 მაისს, სკოლამ წარმოადგინა დამატებითი შეთანხმება იჯარის ხელშეკრულებაში, რომელიც მხარეებმა დასარეგისტრირებლად წარუდგინეს საჯარო რეესტრის მომსახურების სააგენტოს და რომლის თანახმადაც 2019 წლის 02 მაისიდან სკოლა იჯარით ფლობს მეორე სართულის 5 ოთახს, მესამე სართულის 2 ოთახს და მეოთხე სართულის 3 ოთახს, სულ 350 კვ.მ. თუმცა აზომვითი ნახაზი ან რაიმე სხვა დოკუმენტი წარმოდგენილი არ იყო, ამიტომ კონკრეტულად რომელ ოთახებზეა საუბარი ხელშეკრულებაში, ბუნდოვანია.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	ექსპერტთა მოსაზრებით, ფართი, რომელსაც ფლობს დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს 16/01/2017 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N05 გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ სკოლა განახორციელებს 120 მოსწავლის უზრუნველყოფას შესაბამისი პირობებით.
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.11.13.03/001
დადასტურება/დანართი	• ამონაწერით საჯარო რეესტრიდან; • ვიზუალური დათვალიერებით; • დანართი N 4 - უძრავი ქონების ქირავნობის ელშეკრულების ცვლილებით - 30.10.2019. • დანართი N 5 - უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ცვლილებით - 02.05.2019.
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ა.ა“ პუნქტი**

ბ) საკლასოოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

აღწერა	ვიზიტის პირველ დღის მდგომარეობით დაწესებულება სასწავლო პროცესისთვის იყენებს 5 საკლასო ოთახს, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და ქირავნობის ხელშეკრულებით. ვიზიტის მეორე დღეს შეტანილ იქნა ცვლილება ქირავნობის ხელშეკრულებაში და ფაქტობრივი მდგომარეობით სასწავლო პროცესისთვის გამოიყო 10 საკლასო ოთახი. ვიზუალური დათვალიერებით კლასებში განლაგებული მერხებისა და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	<u>სკამების რაოდენობაა - 51 სკამი, 47 ერთადგილიანი მერხი.</u> კლასები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის დაფებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სკოლა ფლობს 115 ერთადგილიან მერხს და 132 სკამს. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ეს ინვენტარი დასაწყობებულია სხვა ფართზე. სკოლას აქვს ბიბლიოთეკის ოთახი, სადაც განთავსებულია 3 კომპიუტერი და ამავე დროს ღია კარადაში დასაწყობებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლაში ასევე არის სამასწავლებლო და სასადილო ოთახი. *<u>ექსპერტთა მოსაზრებით, კლასებისა და მერხების რაოდენობა, რომელსაც ფლობს დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს 16/01/2017 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N05 გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ სკოლა განახორციელებს 120 მოსწავლის უზრუნველყოფას შესაბამისი პირობებით.</u>*
დადასტურება/დანართი	• *ვიზუალური დათვალიერებით* • *შესყიდვის დოკუმენტაციით* • *ინტერვიუირებით*
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ა.ბ“ პუნქტი**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

აღწერა	სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის განსაზღვრული სპორტის სახეობები. სპორტის მასწავლებლის (ამავე დროს სასწავლო პროცესის კოორდინატორისა და სამეურნეო ნაწილის გამგის) განმარტებით მშობლების მოთხოვნით ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე მოსწავლეები თამაშობენ ჭადრაკს, ხოლო ფიზიკური აქტივობები, კერძოდ ფეხბურთი ტარდება ბულვარში მოედანზე.
დადასტურება/დანართი	• *ვიზუალური დათვალიერებით;* • *ინტერვიუირებით;*
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ა.გ“ პუნქტი**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

აღწერა	ვიზიტოს დროს დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დაწყებით საფეხურზე, ამიტომ, დირექტორის განმარტებით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არ ესაჭიროება. ლაბორატორიის აღჭურვილობა განთავსებულია ბიბლიოთეკის, ამავე დროს კომპიუტერული ოთახის, ღია კარადაში ყოველგვარი უსაფრთხოების ნორმების დარღვევით. ექსპერტების თვლიან, რომ რადგანაც სკოლას ავტორიზაცია სამივე საფეხურზე აქვს მინიჭებული, შესაბამისად, ლაბორატორიის გამართულობა და ყველა ნორმის დაცვა მისთვის სავალდებულოა.
დადასტურება/დანართი	• *ვიზუალური დათვალიერებით;* • *ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ა.დ“ პუნქტი**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტისისტემა, სველიწერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

აღწერა	სკოლის თითქმის ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მუდმივი მიწოდებით და გათბობა ხორციელდება ელექტრო ღუმელების საშუალებით. სკოლას აქვს სველი წერტილები ბიჭებისათვის და გოგონებისათვის. საკლასო ოთახებშიც ფუნქციონირებს სველი წერტილები. სსსმ მოსწავლისათვის გამოყოფილია სველი წერტილი, სადაც შესვლა შესაძლებელია საკლასო ოთახის გავლით. იმ შემთხვევაში, თუ სკოლას ეყოლება ასეთი ტიპის მოსწავლე, იმ კონკრეტულ კლასს განათავსებენ ამ ოთახში.
დადასტურება/დანართი	• *.ვიზუალური დათვალიერებით* • *ინტერვიუირებით;* • *კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.*
შეფასება	დაკმაყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტი

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

აღწერა	სკოლაში ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილია ოთახი, რომელიც ასრულებს კომპიუტერული კლასის ფუნქციას. ამავე დროს ღია კარადაში დასაწყობებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ბიბლიოთეკაში განთავსებული მხატვრული ლიტერატურა და სასკოლო სახელმძღვანელოები, მათ შორის გრიფირებული. სასკოლო სასწავლო გეგმაში დაზუსტებული <u>არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები ვიზიტის დროს სკოლას არ გააჩნდა. მონიტორინგის ვიზიტის მეორე დღის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებმა შეიძინეს სახელმძღვანელოების ნაწილი (მე-2 კლასის ახალი სახელმძღვანელოები სკოლამ ვერ წარმოადგინა)</u> და გაატარეს საინვენტარო წიგნში შესაბამისი წესით. ბიბლიოთეკარის ფუნქციებს ითავსებს პირველი კლასის მასწავლებელი. ბიბლიოთეკაში არსებობს საინვენტარო წიგნი - კატალოგი, წიგნები განთავსებულია თემატურად.
დადასტურება/დანართი	• *შესყიდვის დოკუმენტებით;* • *ჩუქების აქტებით;* • *ვიზუალური დათვალიერებით;* • *სკოლის ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;* • *ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.*
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტი**

2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის
აღწერა	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით სკოლის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	შენობაში შესასვლელად მოწყობილია ასაკეცი პანდუსი, გარდა ამისა ერთი სველი წერტილი ადაპტირებულია ამ კატეგორიის პირთა საჭიროებისათვის.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება	დაკმაყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტი

2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათშორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას
აღწერა	<u>სკოლას არ აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.</u> მონიტორინგის ვიზიტის დროს პირველ დღეს ინტერნეტით წვდომა სკოლაში არ იყო. სკოლის მისიიდან გამომდინარე და ამოცანების შესასრულებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისათვის სკოლას უნდა წარმოედგინა ტექნოლოგიებით უფრო მდიდარი ტექნიკური ბაზა. სკოლის სარგებლობაშია 3 პერსონალური კომპიუტერი და 2 ლეპტოპი. სკოლაში ვიზიტის დროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია იყო ძველი (2016 წლის) და არ ასრულებდა საკომუნიკაციო ფუნქციას.
დადასტურება/დანართი	• ვებ გვერდით: https://elitschool.wordpress.com/

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	• ელექტრონული ფოსტა: elitscool@yahoo.com • ინტერნეტპროვაიდერებთან დადებული ხელშეკრულებებით; • გადახდის ქვითრებით; • კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკის შესყიდვის ანგარიშფაქტურებით; • ჩუქების აქტით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტი**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

აღწერა	სკოლას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ყველა სართულზე განთავსებულია თითო ცეცხლმაქრი, თუმცა ცეცხლმაქრებს არა აქვს დამცავი ლუქები და ვერ ხერხდება დამუხტვის თარიღის ამოცნობა . დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების შტაბი, სადაც გაწერილია შტაბის წევრთა უფლება-მოვალეობები. ცალკე დოკუმენტის სახით არის შემუშავებული „წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“. ეს დოკუმენტი არაა დამტკიცებული შესაბამისი ბრძანებით, მიუხედავად იმისა, რომ აქვს დირექტორის ხელმოწერა და ბეჭედი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დადასტურება/დანართი	• წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ვ.ა.“ პუნქტი**

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

აღწერა	სკოლის დერეფნებში, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. არცერთ გეგმას არ აქვს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ვ.ბ.“ პუნქტი**

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

აღწერა	სამედიცინო დახმარებისთვისათვის სამასწავლებლოში განთავსებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის სამედიცინო ყუთი .სკოლის ხელმძღვანელობის განმარტებით ექთნის ფუნქცია შეთავსებული აქვს სკოლის დირექტორს, რომელსაც აქვს შესაბამისი დიპლომი. სკოლამ წარმოადგინა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, <u>აღნიშნული დოკუმენტს აქვს დირექტორის ხელმოწერა და ბეჭედი, თუმცა არ არის დამტკიცებული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით.</u>
დადასტურება/დანართი	• სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ვ.გ.“ პუნქტი**

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

აღწერა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,,სამედიცინო დახმარების, წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“ <u>ასევე არ არის დამტკიცებული შესაბამისი ბრძანებით, თუმცა ამ დოკუმენტზე არსებობს დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.</u> ზემოაღნიშნული დოკუმენტი შინაარსობრივად გამართულია, თუმცა შპს ელიტ სქულზე მორგებული არ არის, გვხვდება ისეთი ჩანაწერი როგორიცაა ,, სკოლის ორივე კორპუსი უზრუნველყოფილია 24 საათინი დაცვით“, რაც რეალობას აცდენილია. სკოლას არ აქვს მე-2 კორპუსი და არ ჰყავს დაცვა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოება არ არის დაცული კერძოდ, ბიბლიოთეკაში ღია კარადაში ყოველგვარი უსაფრთხოების ნორმების დაცვის გარეშე ინახება ბავშვებისათვის საშიში რეაქტივები. (გოგირდის კონცენტრატი, მარილმჟავას კონცენტრატი, ძმარმჟავას კონცენტრატი და სხვ.) რაც შეეხება მოსწავლეთა დაცულობას, სკოლას ჰყავს დარაჯი. არის უსაფრთხოების კამერები, სკოლის კარი იკეტება კლიტით (გასაღები აქვს დამლაგებელს) და სკოლაში როგორც შეღწევა, ასევე გარეთ გამოსვლა შეუძლებელია. უნდა აღინიშნოს, რომ შენობა შემოსაზღვრულია რიკულებიანი აივნებით და „მეტალოპლასმასის“ ფანჯრებით, რომლებიც არ იღება. ექსპერტთა მოსაზრებით, ასეთი ტიპის მიდგომამ საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი პრობლემა შექმნას.
დადასტურება/დანართი	• სამედიცინო დახმარების,წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; • ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ვ.დ.“ პუნქტი**

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლისში და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

აღწერა	დაწესებულებას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი, სადაც ორი გარე კამერაა დამონტაჟებული (კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე, თუმცა ამ კამერებით ხდება ეზოს გაკონტროლება და გარე პერიმეტრი ამ კამერებით არ კონტროლდება, რაც არღვევს ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. 6 კამერა აკონტროლებს შენობის შიდა პერიმეტრს.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერება; • კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ვ.ე.“ პუნქტი**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

აღწერა	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი და გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები: პედაგოგიური საბჭოს დებულება, საგნობრივი კათედრების დებულება, ზემოთ ჩამოთვლილი დებულებები დაწესებულების ხელმძღვანელის შიდა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	ადმინისტრაციული აქტით დამტკიცებული არაა, მაგრამ თითოეულ მათგანზე არის დირექტორის ხელმოწერა და ბეჭედი.
დადასტურება/დანართი	• შინაგანაწესით; • დებულებებით; • წესდებით.
შეფასება	დაკმაყოფილებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ზ“ პუნქტი

2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს
აღწერა	დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, <u>რომლებიც სათანადო წესით არ არის დამტკიცებული და ასევე არ არის შედგენილი სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. სკოლას გაკეთებული აქვს SWOT ანალიზი, სადაც ძლიერ მხარეში ვკითხულობთ ,,სკოლა აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და ლაბორატორიებით, გააჩნია საკუთარი სპორტული დარბაზი...“, ,,სკოლა ყოველ სასწავლო წლის ბოლოს ატარებს გამოცდებს“, სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოცდები არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ დაწყებით საფეხურზე, შესაბამისად, სკოლას გამოცდის ჩატარების უფლება არ აქვს. ექსპერტთა მოსაზრებით წარმოდგენილი დოკუმენტი არ ასახავს შპს ელიტ სქულის რეალურ სურათს.</u>
დადასტურება/დანართი	• დანართი N 6 - სკოლის SWOT ანალიზით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	• 2018/2019 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით; • სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმით.
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „თ“ პუნქტი**

2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა
აღწერა	სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, რისთვისაც არსებობს: შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალები, საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, ძირითადი საქმიანობების ბრძანებათა რეგისტრაციის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. საქმისწარმოება სკოლაში მიმდინარეობს ხარვეზებით, რაც გამოიხატება შემდგომში: <u>დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტები (ბრძანებები) ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შრომითი ხელშეკრულებების ნუმერაცია არ ემთხვევა შრომითი ხელშეკრულების სარეგისტრაციო ჟურნალში არსებულ ნომრებს.</u> მოსწავლეთა პირადი საქმეების შემოწმებამ აჩვენა, რომ მხოლოდ 1 მოსწავლის პირადი საქმე არ აკმაყოფილებს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მოსწავლეთა პირადი საქმის მოთხოვნებს და ფორმას.
დადასტურება/დანართი	• შემოსული დოკუენტაციის რეგისტრაციის ჟურნალით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	• გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალით; • ძირითადი საქმიანობების ბრძანებათა რეგისტრაციის ჟურნალით; • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით; • მოსწავლეთა პირადი საქმეებით; • შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალით.
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-4 მუხლის „ი“ პუნქტი**

III. ადამიანურირესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

აღწერა	სკოლას წარმოადგინა საშტატო განრიგი, სკოლის სტრუქტურა. ექსპერტებმა გადაამოწმეს თანამშრომელთა რეესტრი. <u>ვიზიტის დროს დაფიქსირდა უზუსტობა საშტატო განრიგსა და ემისში განთავსებულ თანამშრომელთა სიაში.</u> სკოლის მიერ eSchool - ის ბაზაში დარეგისტრირებული თანამშრომლების სიის მიხედვით სკოლას ჰყავს 30 თანამშრომელი. ხოლო ვიზიტის დროს დადგინდა რომ სკოლაში ამჟამად დასაქმებულია მხოლოდ 12, მათგან: 9 პედაგოგია (5 პრაქტიკოსი, 4 კი სტატუსის გარეშეა), დარჩენილი თანამშრომლები კი ასეა განაწილებული: 1-დირექტორი; 1-სასწავლო პროცესის კოორდინატორი/ მნე; 1-დამლაგებელი; 1- ფინანსური მენეჯერი; 1



	-დარაჯი; 1-ბიბლიოთეკარი. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმბული იყო სკოლის მასწავლებლებთან და დარაჯთან, ხოლო <u>დანარჩენ თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებები სკოლამ ვერ წარმოადგინა.</u>
დადასტურება/დანართი	• ხელშეკრულებებით, • პირადი საქმეებით; • ამონაწერით ემისის ელექტრონული ბაზიდან; • დანართით N 7 - სტრუქტურა, მასწავლებელთა სია- 2 ფურცლად • გასაუბრებით დაწესებულების წარმომადგენლებთან.
შეფასება	**დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

აღწერა	მასწავლებელთა ნაწილი შერჩეულია „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **5** მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, <u>ხოლო 4 მასწავლებლის კვალიფიკაცია შეუსაბამოა.</u>
დადასტურება/დანართი	• პირადი საქმეებით; • სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატებითა და დიპლომის ასლებით. • ხელშეკრულებებით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	• გასაუბრებით
შეფასება	**დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.**

3.3	**სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა**
აღწერა	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და განთავისუფლების წესები, ასევე, წახალისებისა და სანქციების სისტემა, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მუხლები: 17; 25; 26; 27) და სკოლის დებულებაში. მოსწავლეთა და მასწავლებელთა წახალისება ხორციელდება დირექტორის ბრძანებით. სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ვაკანტურ ადგილებზე შერჩევა ხდება გასაუბრების წესით.
დადასტურება/დანართი	• სკოლის დებულებით; • შინაგანაწესით; • ინტერვიურებით;
შეფასება	დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურპერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

აღწერა	დაწესებულების თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. დასაქმებულთა უმრავლესობა სკოლაში მუშაობს 30 თვეზე მეტი დროის განმავლობაში რაც საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ თანახმად ავალდებულებს დამსაქმებელს გააფორმოს დასაქმებულთან უვადო შრომითი ხელშეკრულება. სკოლას კი გაფორმებული აქვს ათთვიანი ხელშეკრულებები, რაც საქართველოს „შრომის კოდექსთან“ წინააღმდეგობაში მოდის, ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული შესვენების დრო; ხელშეკრულების მიხედვით დასაქმებულს არ ეძლევა ანაზღაურებადი შვებულება, არადა კანონით დამსაქმებელი ვალდებულია წელიწადში მისცეს სულმცირე 24 სამუშაო დღიანი ანაზღაურებადი შვებულება. ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა რეკვიზიტებსა და უფლება-მოვალეობების ნაწილს. დოკუმენტში მითითებულია დასაქმებულის პოზიცია და ანაზღაურების ოდენობა. ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სამუშაო დროსა და ადგილს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს, ხელშეკრულების შეწყვეტის და შეჩერების საფუძვლებს.
დადასტურება/დანართი	• ხელშეკრულებებით; • პირადი საქმეებით
შეფასება	**დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

	მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

აღწერა	მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოტივაციის ზრდის მიზნით სკოლა ჩართულია „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“; სკოლას ჰყავს 1 ფასილიტატორი და სკოლაში შექმნილია სკოლის მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი. სხვა აქტივობები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლამ ვერ წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ სკოლას არცერთი უფროსი მასწავლებელი არ ჰყავს.
დადასტურება/დანართი	• დირექტორის ბრძანებით შიდა სასკოლო შეფასებების შესახებ; • კათედრების ოქმებით; • პედაგოგიური საბჭოს ოქმებით; • სერთიფიკატებით; • მასწავლებლებთან გასაუბრებით.
შეფასება	**დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

აღწერა	ექსპერტების მიერ დაწესებულების დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლაში დაცულობის და სკოლის თითოეული წევრის შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენის ატმოსფერო არ არის შექმნილი ზემოთ აღნიშნული ხარვეზებისა და შეუსაბამობების გამო. თუმცა კოლეგებს შორის კეთილგანწყობილი ატმოსფერო შეიმჩნეოდა. სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია სკოლის მიერ არ იყო წარმოდგენილი.
დადასტურება/დანართი	• ინტერვიუირებით; • სკოლის ვებგვერდით;
შეფასება	**დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.**

IV. საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესრულება

4.1 მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალები

აღწერა	*<u>სკოლამ წარმოადგინა ხუთი კლასის ჟურნალი. მე-5 და მე-6 კლასების</u>* ჟურნალები არ არის შევსებული შესაბამისი წესით, ქულები შეტანილია, თუმცა უმეტეს შემთხვევაში არ არის დაჯამებული. ზოგიერთი საგნის შემაჯამებელი დავალებები საერთოდ არ არის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	შეტანილი და დაჯამებული. ზოგიერთ კლასში ჩარიცხული მოსწავლეების ბრძანებები არ არის შეტანილი.
დადასტურება/დანართი	პირველი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასების ჟურნალებით
შეფასება	**დარღვეულია „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 22 აგვისტოს N114/ნ ბრძანება.**

სულ დანართი	დანართი 1- 4 ფურცელი დანართი 2 – 5 ფურცელი დანართი 3 – 2 ფურცელი დანართი 4 – 3 ფურცელი დანართი 5 – 3 ფურცელი დანართი 6 – 2 ფურცელი დანართი 7 – 2 ფურცელი დანართი 8 – 2 ფურცელი სულ - 23 ფურცელი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე



მონიტორინგის ჯგუფის წევრი